კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქ თბილისში, ისანის რაიონში, წურწუმიას ქუჩა №14-ში სარეაბილიტაციო შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ

3 ნოემბერი 2018 წ.

ქალაქ თბილისში, ისანის რაიონში, წურწუმიას ქუჩა №14-ში, მშენებლობა მიმდინარეობდა დამტკიცებული პროექტის მიხედვით. პროექტით გათვალისწინებული იყო არსებული ძეგლის დაშლის და აღდგენის, არაღირებული ნახევარადდაშლილი მოცულობის მქონე შენობის ადგილზე ერთსართულიანი სარდაფიანი შენობის და ახალი მშენებლობების შერწყმას ერთ მთლიან პროექტად.

მიწის სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, გამოჩნდა არაღიარებული ნახევარდდაშლილი მოცულობის მქონე შენობის -1 სართული, რომლის ნახვაც ქვაბულის დამუშავებამდე არ ხერხდებოდა. არქიტექტურული გადაწყვეტით საჭირო გახდა არსებული -1 სართულის იატაკის დონის და არაღირებული შენობის სარდაფის შენარჩუნება, ისე როგორც ეს რეალურად არის -2.96 ნიშნულზე, გაბარიტებით 9X5.4 მ.

არაღირებული შენობის სარდაფის კედლები მოწყობილია წითელი აგურის წყობით კირისა და ქვიშის ხსნარზე. ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნულ კედლებზე არ შეინიშნება ბზარები და გამოფიტვის კვალი. კონსტრუქციული პროექტით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი რკინაბეტონის კარკასის მოწყობა, რომელიც კავშირში არ არის, არსებული შენობის კედლებთან. ვინაიდან ძირითადი შენობის საძირკვლები ეწყობა არსებული არაღირებული შენობის სარდაფის იატაკის დონის ქვემოთ, პროექტით გათვალისწინებულია არსებული საძირკვლის გაძლიერება. საძირკვლის გაძლიერება ითვალისწინებს აღნიშნული

ნაგებობის ქვეშ ბეტონის საყრდენების მოწყობას, ეტაპობრივად ნახაზე ნაჩვენები სქემის მიხედვით.


.

დასკვნა:

ქალაქ თბილიში, ისანის რაიონში, წურწუმიას ქუჩა №14-ში, მიწის სამუშაოების მიმდინარეობის პროცეში, არაღირებული შენობის სარდაფის შენარჩუნება სრულიად შესაძლებელია. ვინაიდან ვიზუალური დათვალიერებით შენობის მზიდ კედლებზე არ შეინიშნება ბზარები და გამოფიტვის კვალი. აღნიშნული ნაგებობა წარმოადგენს თვითმზიდ კონსტრუქციას რომელიც დაკავშირებული არ არის ძირითადი მზიდ კონსტრუქციებთან. ამასთან პროექტით გათვალისწინებულია არსებული საძირკვლის გაძლიერება, რომელიც ითვალისწინებს ეტაპობრივად ბეტონის საყრდენების მოწყობას. აღნიშნული გამაგრებითი საშაოების მოწყობით, მივიღებთ მთლიან არმირებულ მონოლითურ საძირკველს შესანარჩუნებელი შენობის ქვეშ, რომელიც გამორიცხავს დეფორმაციებს მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

შეადგინა : ბ. ჩხარტიშვილი

არსებული საძირკვლის გაძლიერების სქემატური გეგმა მ 1:100


110
110
120
120
110
45
120
120
120
120
120
120
45
1
1
1